საქმე თავფურცლის კრებული ყდები 34 / 132

Фонд 287 Опись 1 ед. хр. № 131

დასკანირებულია 16.01.20

ფონდი 287 1 № 131

მუდმივად შესანახი
постоянного хр.

12.

მილოცვა და სამადლობელი

როგორც ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის 11 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ჩვენს ქალაქში აღზრდილმა პედაგოგიურ მეცხიერებათა კანდიდატმა აკაკი სარდიონის-ძე თოფურიამ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ძირითადი საკითხები“.

ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ს. ჭილაია და პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ს. სიგუა. მათ მაღალი შეფასება მისცეს სადისერტაციო ნაშრომს.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 25 წევრმა, რომლებმაც ყველა სასარგებლო ხმა მისცეს დოქტორობაზე აკაკი თოფურიას.

დისერტაციის წარმატებით დაცვასთან დაკავშირებით აკაკი თოფურიამ ბინაზე (მოსაშვილის ქ. № 9) მრავალი მოსალოცი დეპეშა მიიღო ქუთაისიდან, ბათუმიდან, თელავიდან, ცხინვალიდან, ხოლო ყველაზე მეტი — მშობლიურ ქალაქ ფოთიდან.

ჩვენი გაზეთის რედაქციამ თავისი და სტამბის მუშაკთა სახელით აკაკი თოფურიას გაუგზავნა სპეციალური ადრესი-ალბომი, რომლის ორ აბზაცში ვკითხულობთ:

... გულით გვახარებს და გვაამაყებს თქვენი ესოდენ შესანიშნავი შემართება მეცნიერული მწვერვალების დასაპყრობად, თქვენი ღრმა ერუდიციით შთაგონებული მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა, რითაც ერთ-ერთ ლამპრად ანთებული სასიქადულოდ მიაბიჯებთ მამაპაპური მადლით გაცისკროვნებული ქართული კულტურის იალბუზისაკენ.

... ფოთელ უურნალისტებს, რომლებთანაც შენ გაკავშირებს ჭაბუკობის სამაგალითო შემოქმედებითი მოღვაწეობა და საქმიანობა, გულით გვახარებს ეს დიდი გამარჯვება. შენ იყავი ჩვენი გაზეთის „ახალი კოლხიდის“ ერთ-ერთი წამყვანი მუშაკი, მასთან და საქალაქო სტამბასთან მარადის მეგობრული გრძნობებით დაკავშირებული“.

ამ ადრესის გადაცემის შემდეგ აკაკი თოფურიამ წერილობითი სამადლობელი გადმოგვცა, რომლის ტექსტს აქვე ვაქვეყნებთ.

გაზეთ „ახალი კოლხიდის“ რედაქციას

გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ფოთის საზოგადოებას ვაუწყო შემდეგი:

ფოთის საქალაქო გაზეთ „ახალი კოლხიდის“ რედაქციისა და სტამბის მუშაკებისაგან ამავე გაზეთის რედაქტორის მოადგილის უურნალისტ კარლო კომახიძის მეშვეობით მე მივიღე მოსალოცი ადრესი, აღსავსე თბილი გრძნობებითა და კეთილი სურვილებით. ასეთივე ხასიათის მრავალი დეპეშა მომივიდა ფოთელი ამხანაგებისა და მეგობრებისაგან.

უაღრესად მადლობელი ვარ იმათი, ვინც გულწრფელად გაიზიარა ამა წლის 11 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ჩემ მიერ მოპოვებული მცირედი წარმატება. ეს იყო არსებითად ჩვენი დედა-უნივერსიტეტის სახელოვანი მეცნიერული ტრადიციების შეუპოვრად დაცვის მკაფიო გამოხატულება. ამდენად, ჩემდამი მოძღვნილ თბილ სიტყვებს პირველ რიგში მე მივაკუთვნებ ქართული მეცნიერების ამ წმინდა ტაძარს, ჩვენს შრომისმოყვარე და ნიჭიერ ხალხს, ჩვენ დიად სამშობლოს, ჩემს მშობლიურ, შავი ზღვისპირის პატარა, მაგრამ ულამაზეს ქალაქს, რომელთანაც ასე განუყრელად მაკავშირებს სიჭაბუკისა და ახალგაზრდული გატაცების ყველაზე ძვირფასი წლები.

აკაკი თოფურია.

ქ. თბილისი, 16/XII 1963 წ.

...თარება

...საქართველოს ტურიზმის რესპუ-
...ლიკურმა საბჭომ შეიმუშავა კი-
...ვე რამდენიმე ახალი ტურისტული
...რშრუტი. ამ მარშრუტების გან-
...რციელების მიზნით აჭარაში, აფ-
...ხეთსა და სიღნაღში განზრახულია
...ენდეს 1.500 კაცისათვის განკუ-
...ნილი ახალი ტურისტული ბაზე-

...იდი პოპულარობით სარგებლ-
... ტურისტული მოგზაურობა
...ნიგზის მარშრუტებითაც. 1964
...ს მოეწყობა 7 ტურისტული მა-
...ებელი. ახალი მარშრუტებით
...რისტული მატარებლებით მო-
...ურები ეწვევიან შუააზიის რესპუ-
...კებსა და ვოლგისპირეთს. მოე-
...ბა აგრეთვე ავტომატარებლები
...ლისი—აფხაზეთის კურორტები,
...ლისი—მინერალური წყლები.
...კანასკნელ ხანს რესპუბლიკაში
...მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტუ-
...მის ბეჭდვითი პროპაგანდა. მა-
...რივი ტირაჟით გამოცემულია
...ზი ალბომები-ბუკლეტები. და-
...ქდად გამზადებულია მეგზურე-
...ტურისტული რუკები, ცნობა-
..., პლაკატები და ღია ბარათები.
...ბრივი ტურიზმის პროპაგანდი-
...ის ფართოდ იქნება გამოყენე-

მისამართი: ქ. ფოთი, კიროვის ქ. № 22.

დირექცია.

სასამართლოს დარბაზიდან

ნაცარში ჩავარდნილი კოვზი

ეკატერინე ილიას ასული განძა საქვაჭრობის ცხაკაიას განყოფილების № 7 სასადილოში მუშაობდა მრეცხავად. მაინც და მაინც გულმოდგინე მუშაკი არ იყო, პატარა კოვზით შეჰქონდა თავისი წილი საზოგადოებრივი დოვლათის შექმნაში, გატანით კი ცდილობდა დიდი კოვზით გაეტანა.

განძა უსაქმურ ვალიმა ყურბანგალის ასულ ხალიკოვას დაუკავშირდა.

— ამბობენ ფოთში თავსაყრელადაა სიგარეტები, აქ კი სანთლით ეძებენ. მე იქ ნაცნობი მყავს. წავიდეთ, ვიყიდოთ და აქ გადიდებულ ფასებში გავყიდოთ. ფულს მოვიგებთ.

თქმა და შესრულება ერთი იყო. ისინი საზღვაო ვაჭრობის ფოთის განყოფილების № 3 სასადილოს მებუფეტეს კაპიტოლინა ნიკოლოზის ასულ ნელიუბოვას მიადგნენ.

ნელიუბოვა ბუფეტში ტრიალებთვეა თვალითაც არ მინახავს. მომწყდით, თავს ნუ მაბეზრებთ. — ეუბნებოდა იგი მუშებს და ყველას უარით ისტუმრებდა, თან იქვე ატუზულ განძას და ხალიკოვას თვალს ჩაუკრავდა ხოლმე.

როცა სასადილო დაცარიელდა, ნელიუბოვამ 120 „პამირი“ და 50 „პრიმა“ ჩაუწყო ტომარაში განძას და ხალიკოვას და 2 მანეთი ზედმეტი გადაახდევინა. გახარებული სპეკულანტები ის იყო სასადილოდან გავიდნენ, რომ ნავსადგურის დაცვის ფხიზელმა მუშაკებმა ვ. ჩემიამ, ლ. დოლბაიამ და ო. ცომაიამ იქვე დააკავეს ისინი და მილიციაში მიაბრძანეს.

სპეკულანტები და მათი ხელშემწყობი ნელიუბოვა ამ დღეებში წარსდგნენ ფოთის სახალხო სასამართლოს წინაშე და დამსახურებული სასჯელი მიიღეს.

ი. ბირკაძე.